წვიმა და თოვლი

როგორ ფიქრობ, რაზეა დამოკიდებული ამინდის ცვლა? წაიკითხე ტექსტი და შეამონმე შენი ვარაუდი.

ამინდი წელიწადის დროების მიხედვით იცვლება. **ხან** თოვს, ხან წვიმს, ხან ცხელი მზეა და ხან – ცივი ქარი. ამინდს სამი რამ ქმნის. ეს არის მზე, ჰაერი და წყალი. მზე ათბობს. ჰაერის მოძრაობა ქმნის ქარს. ხოლო წყალი თოვლისა და წვიმის სახით მოდის. მას ნალექი ჰქვია.

საიდან მოდის წვიმა და თოვლი? რით ჰგავს ისინი ერთმანეთს და რით განსხვავდება?

მზე წყალს ათბობს, წყალი ორთქლდება და ცაში ადის. იქ ღრუბლებად გადაიქცევა. ღრუბლებს **თანდათან** ემატება ორთქლი და ღრუბელი **მძიმდება**. იქიდან წვეთები ცვივა და იწყება წვიმა. წვიმის წვეთები და თოვლის ფიფქები ერთნაირად წარმოიქმნება. თუ ძალიან ცივა, წვეთები იყინება და ფიფქებად გადაიქცევა. ფიფქები ძალიან ლამაზია. ზოგი დიდია, ზოგი – პატარა. ზოგი ვარსკვლავს ჰგავს, ზოგი — ყვავილს. ორი ერთნაირი ფიფქი არ არსებობს. იცი, რომ ეს ლამაზი ფიფქები დედამიწის მოსახლეობის ნახევარს არასოდეს უნახავს?

წვიმის წვეთები მხოლოდ ზომით განსხვავდება ერთმანეთისგან. ზოგი წვეთი დიდია, ზოგიც – პატარა. ამიტომაც წვიმაში ხან ძალიან ვსველდებით, ხან – **ოდნავ**. წვიმაც და თოვლიც მნიშვნელოვანია დედამიწისთვის. თუმცა, თუ წვიმა ან თოვა დიდხანს გაგრძელდა, ის პრობლემებს უქმნის ადამიანს.

წვიმიანი ამინდი უფრო მოგწონს თუ თოვლიანი? რატომ?

დონე: A გამართული, **კომპონენტი:** შედარება-შეპირისპირება

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რით ჰგავს წვიმა და თოვლი ერთმანეთს?

ა) ორივე ძალიან ცივი ამინდის დროს წარმოიქმნება.

ბ) ორივე წყლის აორთქლების შედეგად წარმოიქმნება.

გ) ორივე ჰაერის მოძრაობის შედეგად წარმოიქმნება.

2 თოვლი წვიმისაგან განსხვავდება იმით, რომ:

ა) თოვლი პრობლემას უქმნის ადამიანს, წვიმა – არა.

ბ) თოვლი ფიფქის სახით მოდის, წვიმა – წვეთის სახით.

გ) თოვლი ნალექია, წვიმა კი ნალექი არ არის.

3 როდის გადაიქცევა წვეთები თოვლად?

ა) როცა წვიმა დიდხანს გრძელდება.

ბ) როცა ძალიან ცივა და წვეთები იყინება.

გ) როცა წყლის ორთქლი ცაში ადის.

4 რის შესახებ *<u>არ არის</u>* საუბარი ტექსტში?

ა) მოსახლეობის რა ნაწილს არ უნახავს თოვლი.

ბ) რით განსხვავდება ფიფქები ერთმანეთისგან.

გ) სად მოდის ყველაზე მეტი ნალექი თოვლის სახით.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. **ხან** თოვს.
   ა) ზოგჯერ. ბ) ყოველთვის. გ) ხშირად.

2. ღრუბლებს **თანდათან** ემატება ორთქლი.
   ა) ნელ-ნელა. ბ) სწრაფად. გ) უცებ.

3. ღრუბელი **მძიმდება**. სიტყვა **მძიმდება** ნიშნავს:
   ა) ზომაში მცირდება. ბ) წონაში იმატებს. გ) ფორმას იცვლის.

4. ზოგჯერ წვიმაში **ოდნავ** ვსველდებით.
   ა) ზედმეტად. ბ) ცოტათი. გ) ძლიერად.

2 სწორად დააკავშირე ერთმანეთთან სიტყვები.

1. ღრუბელი	ათბობს.
2. თოვა	ორთქლდება.
3. წყალი	მძიმდება.
4. მზე	გრძელდება.

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

---------- ქმნის მზე, ჰაერი და წყალი.

ა) ამინდი. ბ) ამინდმა. გ) ამინდს.

2 კითხვის მიხედვით შუცვალე სიტყვებს ფორმა.

რა?	**რად?**
ღრუბლები	***ღრუბლებად***
ფიფქები	----------
წვეთები	----------

გრამატიკა

3 **დაწერე ნიმუშის მიხედვით.**

ნიმუში: ორთქლი – ორთქლდება.

1. მძიმე – ----------.
2. ცხელი – ----------.
3. ცივი – ----------.
4. გრძელი – ----------.

წერა

1 **ტექსტის მიხედვით დაწერე: რით განსხვავდება თოვლი და წვიმა ერთმანეთისგან; რა აქვთ მათ საერთო.**



2 **დაწერე ოთხი პატარა ტექსტი წელიწადის დროისა და ამინდის შესახებ.**

ზამთარი	ზამთარში ჩემს ქალაქში / სოფელში ხშირად ---------- ----------
გაზაფხული	გაზაფხულზე ჩემს ქალაქში / სოფელში ხშირად ---------- ----------
ზაფხული	ზაფხულში ჩემს ქალაქში / სოფელში ხშირად ---------- ----------
შემოდგომა	შემოდგომაზე ჩემს ქალაქში / სოფელში ხშირად ---------- ----------